საქართველოს მთავრობის

დადგენილება №25

2023 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი.

მუხლი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აპრილის დადგენილება №159 - ვებგვერდი, 01.05.2024წ.

მუხლი 3

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის დირექტორის დანიშვნა.

მუხლი 4

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება 2023 წლის 15 თებერვლამდე.

მუხლი 5

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნულ ცენტრს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ქონება გადაეცეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**